115
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 206
სეკდემბრის 28, შაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 206
სეკდემბრის 28, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის არჩევზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მასი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და აქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა ქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტკოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.
(120—6.—31)

№ 1. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

კვირას, 29 სეკდემბერს 1902 წ.

სეზონის დასაწყებად

ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ალექს. ცაგარლის ხსოვნის პატივსაცემად

პირველად ახალი პიესა

I

ცისარტყელა

თანამედ. კომ. 4 მოქმ. თხზულ. ა. ცაგარლისა.

II

აპოთეოზი

ვ. აბაშიძე და კ. მესხი წაიკითხავენ შესაფერ სიტყვას და ლექსს.

წარმოდგენის რიგი: 1) აპოთეოზი, 2) ცისარტყელა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, როხელი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, ი. ივანიძე, კ. მესხი, ივ. ლანდი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 6 მანეთიდან 10 მან.-დე, პარტერი 70 კ.-დგან 3 მ.-მდე, ამფითეატრი 80 კ.-დგან 1 მ. 50 კ.-მდე, გალერეია 25 კ.-გან 45 კ.-მდე, შეგირდებისათვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 **საათზედ.**

მზადდება წარმოსადგენად: „მუშაკი და ნებიერი“, „ფიგაროს ქორწინება“, „უნდა გავიყარნეთ“. რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი № 617.

დღეს, შაბათს, 28 სეკდემბერს,
ხარკოვის რუსულ ოპერის არტისტების
მიერ წარმოდგენილი იქნება

აიდა

ოპერა 4 მოქმ. და 7 სურათად, მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ზორინისა, კარამზინ-ჟუკოვსკისა; ბ-ნნი: ვასილიევი, პოლუიანოვი, იზმაილოვი, პეტროვი, პევცოვი და სხ.

ბალეტს დასდგამს ბალეტმეისტერი **მენაბენი.**

მონაწილეობას მიიღებს 1-ლ კავკასიის საპიორთა ბატალიონის სამხედრო ორკესტრი ბ. **რიჩჩარის** ლოტბარობით.

დეკორაციები დახატულია ბ-ნ **სუვოროვის** მიერ.

კასტიუმები და აქსესუარი საკუთარი სახელოსნოსი.

კაპელმეისტერი **ლ. პ. შტეინბერგი.**

ხორმეისტერი ა. გ. **ზვერჟანსკი**, ადმინისტრატორი მ. **დურანდინი.**

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ხვალ, კვირას 29 სეკდემბერს, წარმოდგენა არ შესდგება. ორშაბათს, 30 სეკდემბერს, გაიმართება **მესამე, ყველასათვის ხელ. მისაწვდომი იაფ-ფასიანი წარმოდგენა.** დაიდგმება **ოპ. დემონი.** სამშაბათს, 1-ლ ოკდომბერს, წარმოდგენილ იქნება ოპერა **ლაკმე.** ბილეთები ყველა წარმოდგენებისა ეხლავე ისყიდება. კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდის და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

გამგებელი სახელოვნობო მოკაზმულობისა **ივ. ფითოევი.**

ტფილისის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ამით აცხადებს ბ-ნთ ამომრჩეველთა საყურადღებოდ, რომ არჩევა ტფილისის ქალაქის საბჭოში ხმოსნებისა მესამე საარჩევნო განყოფილებაში დანიშნულია 29 ენკენისთვეს 1902 წ. ტფილისის სობრანიის საზაფხულო სადგომში მიხეილის ქუჩაზედ.

საარჩევნო კრებაში შესასვლელი ბილეთები დაურიგდებათ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში 28 ენკენისთვემდის და არჩევნების დღეს კი თვით „ტფილისის სობრანიის“ სადგომში დილის 10 საათიდგან კენჭების დათვლის დაწყებამდის.

(3—ნ.—2)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

კბილის სამკურნალო კაბინეთი

ი. ზ. კანდელაკისა

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. საღამოთი 4—7. ავჭალის ქუჩის დასაწყისში სახლი ჯალალოვისა, № 11 გედევანიშვილის საკურნალოს ახლო. (4—ნ.—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, [illegible]—10 სათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი, 10—11 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბქელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон.
(წლ.

ტფილისი

◆ ხუთშაბათს, 26 ამ თვეს, აკურთხეს ყაზბეგის დედათა სკოლა. კურთხევას დაესწრნენ სკოლის სამზრუნველოს წევრნი, მოწაფეთა მშობლები და სკოლის თანამგრძნობი საზოგადოება. სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა ალ. ნათაძემ, რომელმაც მკაფიოდ და გარკვევით აღნიშნა დედათა სკოლის დიდი მნიშვნელობა. ბ-ნმა ნათაძემ თავისი გრძნობით სავსე სიტყვა დაამთავრა შვეიცარელ გამოჩენილ პედაგოგის ჟან-პოლის სიტყვებით: „მოგვეცით კარგი დედები, რომ ჩვენ კარგი კაცები გამოვიდეთო“.

◆ ჩვენ შევიტყეთ, რომ სოფ. ალაგირის (კავკავის მაზრა) სკოლაში განთავისუფლებულა მასწავლებლის ადგილი. სკოლის ადმინისტრაცია დაეძებს მასწავლებელს, რომელმაც, სხვათა შორის, ქართული გალობაც უნდა იცოდეს. მსურველს შეუძლიან დაწერილებით პირობათა გასაგებად მიმართოს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელს ივანე გიორგის ძეს რატიშვილს.

◆ ელენე პოლტარაცკის ფრანგულად უთარგმნია ქართული ანდაზები, რომელიც მოკლე ხანში პარიჟის ერთ-ერთს ჟურნალში იქნება დაბეჭდილი.

◆ ამავე პატივცემულმა ქალმა სთარგმნა ფრანგულად აგრეთვე ქ-ნ ეკ. გაბაშვილის მოთხრობა „ორენა და ქუჩე“, რომელიც მალე დაიბეჭდება. კარგი იქნება ამ მანდილოსანს ჰბაძონ ჩვენმა ქალებმა, რომელთაც, ვითომ ქართული არ ეხერხებათ და თუ სხვა ენაზე [illegible]რა, ქართულად არ ლაპარაკობენ და თავისი [illegible] ენათა ცოდნით ეს სამსახური მაინც [illegible]ონ ჩვენს ქვეყანას, რომ მათის წყალობით ევროპის განათლებულმა ხალხმა გაიცნოს [illegible]ს ხალხისა და მწერლობის ნაწარმოებნი.

◆ ყური [illegible]ვკარით, ვითომც უსახელო საზოგადოებ[illegible] განზრახვა აქვს მომავალ წელს შეუდგეს ავლ[illegible]ში რკინის გზის გაყვანას.

◆ თავ. ერ[illegible]ის მამულში სოფელს ოძისს პირველ სეკდემ[illegible]გან დაიწყო მოქმედება პირველ დასაწყი[illegible]ამეურნეო სკოლამ. ამ ჟამად სკოლაში [illegible] მოსწავლე მეცადინეობს, შენდება ც[illegible]ისა და საქონლის ბინა, გამოუყვანიათ [illegible]ერი წყარო და გაუმართნიათ წინ ქვით[illegible]ს აუზი. გაზაფხულზედ აიღებენ მთლად [illegible] შენობებს, რომლის მაგიერათაც ააგე[illegible]ხალს, ახალს გეგმაზედ სკოლის შენობი[illegible]საფერისად. სკოლის შენობის გეგმა უკ[illegible]უდგენია მინისტრის რწმუნებულის კანც[illegible]იას.

◆ ხუთშაბათს, 26 ამ [illegible]ს, ტფ. საზაფხულო საკრებულოში მე[illegible]ანყოფილების ხმოსნების არჩევა მოხდა. [illegible]ები დაიწყო 12 საათზედ; მოვიდა 187 [illegible] 8 მათგანი მისულიყო 2 ხმით, ისე რომ [illegible]მრჩეველთა კენჭი უდრიდა 195-ს. უნდა [illegible]რჩეულიყო 24 ხმოსანი და 5 მათი კანდიდ[illegible] ქალაქის მოურავმა მიიწვია ასისტენტებ[illegible]ოდესაც კენჭის ყრა გათავდა, პირველის [illegible] ყუთის კენჭები დასთვალა თვით ქალა[illegible]ავმა, პირველ ყუთში აღმოჩნდა თეთრი [illegible]შავი კენჭი 194, მეორეში—192 და მესამეში—191. შემდეგ ქალაქის თავმა გარდასცა დანარჩენის ყუთების კენჭი დასათვლელად ასისტენტებს (სულ იყო დადგმული 33 ყუთი); ამათგან ამოირჩიეს 24 ხმოსნად და სამიც კანდიდატად. ქართველი მხოლოდ ორი იქმნა არჩეული: ი. სულხანოვი და ი. თულაშვილი. დანარჩენი სულ სომხები არიან.

◆ ნავთლუხის მემამულეთ ძმათა ჩიჯავაძეებს ქალაქის გამგეობასთან დიდი ხანია ატეხილი დავა ჰქონდათ ნავთლუხის რკინის გზის სადგურის მიდამოებში მამულის თაობაზედ. ეს მამული სივრით ცხრა დესეტინაა. უკანასკნელად ოლქის სასამართლოს ეს მამული უკუთვნებია ჩიჯავაძეებისათვის. კავკასიის რკინის გზის მმართველობა შეჰპაჰრებია კიდეც ჩიჯავაძეებს ამ მამულის ერთს ნაწილს, სადაც იგი აპირებს ბარგისა და საქონლის სადგურის სხვა-და-სხვა შენობის აგებას.

◆ კავკასიის რკინის გზის მმართველობას, როგორც მოგეხსენებათ, ბარგისა და საქონლის საწყობნი გადააქვს ნავთლუხის სადგურთან; მმართველობას ამ საწყობებთან ერთად გადაუწყვეტია აგოს მოსამსახურეთათვისაც სამ-სართულიანი სახლი; ამ საჭიროებისათვის მმართველობას მთავრობისგან გამოუთხოვია შვიდასი ათასი მანეთი; რკინის გზის მმართველობა დეკემბერში უკვე შეუდგება ამ შენობათათვის სხვა-და-სხვა მასალის მიზიდვას.

◆ წარსულ საიუბილეო გამოფენაზედ ორი კესტრის მოთავემ, ბ-ნმა დანდუროვმა, სამეურნეო საზოგადოებას უჩივლა ორას თუმანზედ; ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ეს საქმე 9 ამ თვეს, ხოლო გარდაწყვეტილების გამოცხადება გადსდო ოცისათვის; ახლა ოლქის სასამართლოს გამოუცხადებია დანდუროვისათვის, რომ სამეურნეო საზოგადოებამ უნდა გარდაიხადოს დანდუროვის სასარგებლოდ მხოლოდ ასი თუმანი; ამნაირად მეორე ასის თუმნისა უარი უთქვამს; ნაფიც ვექილს ბ-ნს ჯაბადარს მინდობილი აქვს ტფილისის ხაზინაში შეიტანოს ეს ასი თუმანი და ოლქის სასამართლოს განაჩენი განასაჩივროს პალატაში.

◆ ქალაქს დღეს აქამომდე იანვრის პირველიდან საყასბოდან შემოჰსვლია 53,257 მ. 10 კაპ., საქონლის სადგომებიდან 13,942 მ. 70 კაპეიკი.

◆ დიდის სიამოვნებით ვასწორებთ ერთს მეტად საარსო შეცდომას, რომელსაც მკითხველი ამოიკითხავდა ყველა ქართულს გაზეთში. ნათქვამი იყო, რომ სინოდისაგან ახლად დამტკიცებული გეგმით, სამეგრელოსა და სვანეთში აკრძალულია ქართულის ენის სწავლებაო. ეს ხმა აღმოჩნდა გაუგებრობის ნაყოფი. საკმარისია წაიკითხოთ ამ საგნის შესახებ „სასულიერო მოამბის“ (Духовный Вѣстникъ грузинскаго экзархата) უკანასკნელ ნომერში გაგრძელება ხსენებულის გეგმისა, რათა დარწმუნდეთ აღნიშნულს შეცდომაში. აი რასა ვკითხულობთ აქ: „Если случилось-бы, что грузины какой-либо мѣстности утратили свой родной языкъ, или-же, употребляя языкъ хотя-бы съ общею картвельскою основою, но уклонившіися отъ чистаго грузинскаго (литературнаго) языка такъ далеко, что населеніе не понимаетъ его, то въ такомъ случаѣ обученіе грузинскому языку не должно быть допускаемо“. ჩავუფიქრდეთ ამ ადგილს და ვკითხოთ ჩვენს თავსა: აცხადდა ის, რაც გამოთქმულია ფრაზაში: если-бы случилось, თუ ჯერ არ აცხადებულა? რასაკვირველია, ჯერ არ აცხადებულა, და თუ გაწყრება ღმერთი და უშორესს მომავალში აცხადდება, მაშინ ამ საკითხს ჩვენი შვილის შვილები დაადგენენ და გადასწყვეტენ. სამეგრელოს თემს შეადგენს: სამღვდელოება, თავად-აზნაურობა და გლეხობა. იცის თუ არა სამღვდელოებამ ქართული ენა? ჩინებულად, და თუ უკეთესად არა სხვა ქართულებზე, არა ნაკლებ არას გზით. იციან თუ არა მეგრელმა თავადებმა და აზნაურებმა ქართული ენა? არა ნაკლებ იმერეთი

სა, ქართლისა და კახეთის კეთილშობილია. იცის და ესმის მეგრელს გლეხობას ქართული ენა, თუ არა? უმეტესმა ნაწილმა იცის და ლაპარაკობს. მართალია მცირეოდენი ნაწილი, რომელიც სცხოვრობს აფხაზეთის მიყრუებულს საზღვარზე, არ ლაპარაკობს ქართულად, მაგრამ ცოდნა-კი აქვს და როცა მასთან ამ ენაზე ლაპარაკობენ, მას ესმის, თუმცა საუბარში მონაწილეობას ვერ იღებს და გაჩუმებულია. ერთი სიტყვით, ამ შორეულს მეგრელებსაც აქვთ პასსიური ცოდნა ქართულის ენისა, რომელიც ერთი-ორი კვირის განმავლობაში იქცევა ხოლმე აქტიურ ცოდნად, როცა ამ გვარი მეგრელი მოექცევა სხ. ქართველების წრეში, ასე რომ მთელს საქართველოში სანთლით ვერ მოსძებნით ვერც ერთს მეგრელს, რომელმაც ქართული მეტ-ნაკლებობით არ იცოდეს. დაუმატეთ ამას, რომ რაც ქრისტიანობა მიიღეს მეგრელებმა, წირვა-ლოცვა მათშიაც ქართულს ენაზე იყო, ქადაგებაც, ლიტერატურაც, დავთრებიც და მთელი მწიგნობრობა და თქვენთვის აშკარა შეიქნება, რომ მოყვანილი ადგილი არას გზით არ შეესაბამება ახლანდელს სამეგრელოს მდგომარეობას. ესევე უნდა ითქვას მეტ-ნაკლებობით სვანეთზედაც.

✦ კავკასიის რკინის გზების მმართველობამ ქალაქის გამგეობას გაუგზავნა გეგმა იმ მამულებისა, რომელიც ნავთლუხის სადგურს ახლოს არის და სთხოვა, თუ ქალაქმა ინება და ვისმე მისცა იჯარით ეს ადგილები, იხელმძღვანელოს ამ გეგმითაო.

✦ სტატისტიკოსს გოგიჩაიშვილს უკვე დაუთავებია ზემო-ქართლში სტატისტიკური გამოკვლევა და ამ ცოტას ხანში წარუდგენს ანგარიშს სასტატისტიკო ბიუროს.

✦ რადგანაც თევზის ხმარება ხალხში თითქმის ისეთსავე მოთხოვნილებათ გარდაიქცა, როგორც ხორციც, ამიტომ ქალაქის გამგეობის წევრს ბ-ნ ნ. პ. კოჩაევს განზრახვა აქვს ამ ცოტას ხანში სთხოვოს გამგეობას, რომ ქალაქის ხორცის დუქნებთან დაარსდეს განყოფილება, სადაც სპეციალურად იყიდებოდეს თევზეულობა.

✦ დღეს დანიშნულია შეერთებული კრება ხმოსან ექიმებისა და იმ კომისიის წევრთა, რომელსაც მინდობილი აქვს ავადმყოფთა თავშესაფარების აგების საქმე; ამ შეერთებულ კრებაზედ მიწვეულნი არიან ტფილისის გუბერნიის ექიმი ტ. ს. ქიქოძე და მიხეილის საავადმყოფოს უფროსი ექიმი ი. ა. პავლოვსკი.

✦ გუშინ ტფილისის გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა მის მიერ შეკრებილი 406 მან. დიდის მთავრინას მარიამ თეოდორეს ასულის სახელობაზედ ძეგლის აგების სასარგებლოდ.

✦ 24 სეკდემბერს ჩაჰყარეს უკვე საძირკველი სახალხო სახლისა კ. ი. ზუბალაშვილის სახელობაზედ; საძირკვლის ჩაყრას დაესწრნენ განსვენებულის ზუბალაშვილის მემკვიდრენი და წევრნი სახალხო სიფხიზლის საზოგადოებისანი.

✦ თავ. წერეთლის საოპერო დასში მონაწილეობის მისაღებად ამ დღეებში რუსეთიდგან ჩამოვიდა გამოჩენილი მომღერალი ქალი ა. ვანდედბრანტი, რომელიც ოპერა ლ. ლაკმეს უმთავრეს როლში გამოვა საზოგადოების წინაშე.

✦ ტფილისის მცხოვრებთ მოელით კიდევ ერთი გასართობი: ბაქოს ანტრეპრენიორს პ. ზურაბოვს მოლაპარაკება აქვს არტისტიულ საზოგადოების თეატრის დირექციასთან, რომელმაც დიდ-მარხვაში იტალიური ოპერის დასი უნდა ჩამოიყვანოს.

✦ ქალაქის ამშენებელი განყოფილება შესდგომია რიყის ნაპირების გამაგრების პროექტის განხილვას.

✦ მე-7-დე საბოქაულოში თელავის ქუჩაზედ მცხოვრებთ მიჰმართეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს, რადგანაც ყოველივე გარდასახადს ვიხდით სხვა მცხოვრებლებთან ერთად ქალაქის სასარგებლოდ, ამიტომ გთხოვთ ჩვენს ქუჩაზედ დაიგოს ქვაფენილი, დაიდგას ფარნები და თვეში ერთხელ მაინც შემოიხედონ ხოლმე ქალაქის ქუჩების დამგველმა მუშებმაო.

✦ საქართველოს ეპარქიის სასწავლებელთა საბჭო სთხოვს ქალაქის გამგეობას, რომ მან, გაათავისუფლოს გარდასახადისაგან ის შენობანი, რომელნიც არავითარ შემოსავალს არ აძლევენ სასწავლებელთა საბჭოს.

✦ გოგოლის ქუჩაზედ მცხოვრებლებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, რომ მან მოახდინოს განკარგულება, დაიდგას ამ ქუჩაზედ რამდენიმე ფარანი, რადგანაც ბნელ ღამეში აქ გავლა შეუძლებელიაო.

✦ 24 ამ თვეს ქალაქის ხორცის დუქნებიდგან შემოსულა 721 მანეთი 89 კაპ.

✦ ინჟინერთა ოლქის მმართველობიდგან ქალაქის გამგეობას მოუვიდა ქაღალდი, რამდენი ხანი უნდა გავიდეს უკანასკნელ მიცვალებულის დამარხვიდგან, რომ ან ქალაქის გამგეობამ, ან რომელმამე დაწესებულებამ ამ სამარხ ადგილებზედ, ან სასაფლაოზედ კუთვნილების უფლება განაცხადოს; ან რამდენი ხანი უნდა გავიდეს, რომ ამ ადგილებზედ შენობანი აიგოს. ქალაქის გამგეობა დიდ განსაცდელში ჩავარდა, რადგანაც ამ საგნის შესახებ არავითარი ცნობა არა ჰქონდა-რა.

შეცდომის გასწორება: სოსიკო მერკვილაძისაგან შეგროვილ ფულის შემომწირველთა სიაში ბორჩალოს მაზრის ქართველების ეკკლესიისა და სკოლის სასარგებლოდ შეცდომით დაბეჭდილი იყო: ნადეჟდა მიხეილის ასულმა 3; უნდა იყოს: ნადეჟდა ვლადიმირის ასულმა მიხაილოვისამ 3 მანეთი.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება 27 სეკდემბერს.

კრება დაიწყო 11 საათ. 40 წ. ქალაქის საბჭოს დარბაზში. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თავადმა დ. ზ. მელიქიშვილმა მოახსენა კრებას ცნობანი იმის შესახებ, თუ როგორ დაუხვდა მოსკოვის და პეტერბურგის თავად-აზნაურობა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დეპუტაციას. თავადმა დ. ზ. მელიქიშვილმა დაწვრილებით განუმარტა კრებას ცნობანი იმის შესახებ, თუ როგორის მაღალმოწყალე ყურადღებით მიიღო ხელმწიფე იმპერატორმა დეპუტაცია. თავადმა მელიქიშვილმა გარდასცა კრებას დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის მოწყალე სიტყვები.

გუბერნიის წინამძღოლმა ამის შემდეგ წინადადება მისცა კრებას გამოუცხადონ მათ [illegible] პერატორებით უდიდებულესობას უქვეშე[illegible]დომილესი გრძნობანი, რაიცა კრების [illegible] ერთხმად და დიდის ალტაცებით მიღებულ იქმნა. წინამძღოლისავე წინადადებით კრებამ ერთხმად გარდასწყვიტა შეეთვალოს წერილობით მოკითხვა მოსკოვისა და პეტერბურგის თავად-აზნაურობას. ამის შემდეგ თ-დ მელ[illegible]შვილმა მოახსენა კრებას, რა ახალი წყა[illegible]ბა იქმნა მასზედ მოღებული უმაღლესად, რაც ეცნობა წინამძღოლს ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის ქაღალდით 23 აგვისტოს საერთო საჭიროებათა თანხის განაწილების წესის შესახებ და აგრეთვე ბანკის ექსტრაორდინარულ კაპიტალის თავად-აზნაურობის განკარგულებაში გადასვლის შესახებ. ამასთანავე გუბერნიის წინამძღოლმა მოახსენა კრებას, რომ ბანკის დამფუძნებელთა ფულები, რომელიც ამ ჟამად ინახება სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში, ამიერიდან შესაძლოა გამოტანილ იქმნას, წინამძღოლისავე განკარგულებით, განსაკუთრებულის დადგენილების შემდეგ, რომელ დადგენილების ასლიც უნდა წარდგენილ იქმნას ყოველ კერძო შემთხვევაში სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში. ამის შემდეგ თელავის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თ-დ დ. ე. ჩოლოყაშვილმა წაუკითხა კრებას საერთო საჭიროებათა, სამეურნეო და ექსტრაორდინალურ კაპიტალის განაწილების ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი და განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება ამ საგნის შესახებ. ამ ანგარიშების წაკითხვის შემდეგ გუბერნიის მარშალმა მოახსენა კრებას: 1) წერილი კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურიან-ორბელიანისა, რომელიც სთხოვს საგანგებო კრებას მომავალ საქალებო სკოლისათვის 20,000 მანეთს წლიურად ბანკის მოგებიდგან; 2) წერილი ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორის ვ. ნ. პავლოვისა, რომელიც, აღნიშნავს-რა წინამძღვარიანთ სამეურნეო სკოლის დიდს მნიშვნელობას, შუამდგომლობს კრების წინაშე ერთდროებით დახმარებლად ამ სკოლისათვის 5,000 მან., ხოლო შემდეგისათვის 6,000 მან. წლიურად, და 3) წერილი ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების სკოლის გამგისა, რომელიც აგრეთვე შუამდგომლობს 300 მანეთ ერთ-დროებით დახმარებას სკოლის შესაკეთებლად.

ამის შემდეგ ათის წამით იქმნა შეწყვეტილი კრება.

კრების დაწყებისთანავე თავმჯდომარემ სთხოვა საზოგადოებას გამოეთქვა თავისი შენიშვნები მოხსენებისა და ბანკის მოგების განაწილების შესახებ.

ბ-ნმა ა. ნ ფურცელაძემ, დაწვრილებით აღნიშნა-რა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის დიდი მნიშვნელობა ღარიბ თავად-აზნაურობის შვილებისათვის, მიაქცია საზოგადოების ყურადღება სკოლის ახლად გამოწყებულ შენობის მდგომარეობისაკენ. ბ-ნი ორატორის აზრით აუცილებლივ საჭიროა თავად-აზნაურობამ ახლავე გადასდოს 50,000 მან. სკოლის შენობისათვის და მით მისცეს საშუალება სკოლის სამზრუნველო კომიტეტს მუშაობა არ შეაჩერებინოს. თ. დ. ზ. მელიქიშვილი უმჯობესად ჰპოვებდა არჩეულ ყოფილიყო კომისია, რომელსაც უნდა შეეკრიბა ყოველივე ცნობა სკოლისა და სკოლის შენობის შესახებ, და ყველა ამ რიგად შეკრებილი ცნობანი გაესაჯა ჩვეულებრივ თავად-აზნაურობის კრებას მომავალ დეკემბერში. ამნაირად თ-დი დ. ზ. მელიქიშვილი სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ აღძრულ კითხვის გადაწყვეტას ჰფიქრობდა თავად-აზნაურობის მომავალ ჩვეულებრივ კრებაზე, და ამიტომ მან კითხვა ასე დააყენა: გადაწყდეს ამავე კრებაზე სათავად-აზნაურო სკოლის შენობის შესახებ აღძრული კითხვა, თუ გადაიდოს იგი შემდეგის ჩვეულებრივ კრებისათვის. ბ-ნნი ვ. რცხილაძე, თ-დი ლ. ჯანდიერი, თ-დი მაყაშვილი, თ. ს. ვახვახიშვილი, თავ. ვ. მაჩაბელი და ბევრნი კიდევ სხვანი ამტკიცებდნენ, რომ ეს კითხვა ამავე კრებაზე გადამწყდარიყო, თანხმად ანტონ ნ. ფურცელაძის განცხადებისა, ხოლო თავ. აბხაზი, მ. ვ. მაჩაბელი მეორე აზრისა იყვნენ და თხოულობდნენ სკოლის შესახებ კითხვის შემდეგისათვის გადადებას და კერძო კომისიის მოსაზრების დამტკიცებას შესახებ ბანკის მოგების განაწილებისა. აღძრული საგანი გამოურკვეველი დარჩა, რადგან სხდომა გადადებულ იქმნა სადღეისოდ.

ჩვენებური ამბები

ქუთაისი. სამშაბათ ღამეს, 24 სეკდემბერს, გოსპიტლის ქუჩაზედ ი. ნ. სახლში შეპარულან ქურდები და გამოუტანიათ ტანთსაცმელები, საცვლები და სხვა, მერმედ წამოსულან გეგუთის ქუჩის მახლობლად ს. აბულაძის სახლში, გამოუჭრიათ ფანჯარის მინა. შეპარულან ოთახში და გამოუტანიათ მრავალი ვერცხლეულობა; გარნა დროით შეუტყვიათ სახლში, გაქცეულან პოლიციაში, მოუყვანიათ ბოქაული, გარადავოები და შეუპყრიათ ერთი ავაზაკი, მეორე-კი გაქცეულა. როდესაც ჰკითხეს შეპყრობილს, სად მოიპარე სხვა ნივთებიო? ის გატეხილა და უთქვამს, გოსპიტლის ქუჩაზეო. ბოროტ-განმზრახველი რუსი იყო.

კ. ნალი.

რაჭა. სოფელი ლისეთი მდებარეობს ოცის ვერსის მანძილზე დ. ონიდგან. ეს სოფელი შესანიშნავია მშვენიერ ჰავით, დაბურულის ტყე-ველით, მჟავე წყლებით და მიწის ნოყიერებით.

სამწუხაროდ, ამ ბუნებით სავსე არე-მარეს მცხოვრებთა რიცხვს შეადგენს მეტ-ნაწილად ღარიბი ხალხი. თუმცა ესენი ძალიან გამრჯელი და მეცადინენი არიან, მაგრამ თავის დაუდევრობით, კერპობით ცხოვრება გასჭირვებიათ. აგერ 25 წელიწადია მას აქეთ, რაც ამ სოფელს დაუარსეს ერთ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, მაგრამ ვერავითარი ცვლილება ვერ დაატყო ამ სულითა და გონებით დაცემულს ხალხსა, რომელიც არამც თუ თვითონ არ აძლევს შვილებს სასწავლებელში, არამედ სხვებსაც უშლის, აბა, რა გამოვა, როდესაც ესე გულ-გრილად მოვეპყრობით სწავლა-განათლებას?

უსწავლელობის გარდა, უარეს დღეს მათ აყენებენ ვაჭარი ურიები და სომხები, რომელნიც ამ საქმეში ძალიან გამოცდილ-გამოქნილნი არიან და ამოგდებული აქვთ აქაურობა: ერთი მცხოვრები არ იქნება ისეთი, რომ სომხის ვალი არა ჰმართებდეს.

ა. ყამარაული.

ქუთაისის ქალაქის საქმეები. 23 სეკდემბრის კრებისათვის შესახვედრად ქალაქის გამგეობას ყოველი ძალ-ღონე მოეკრიბა; გარდა იმისა, რომ 23 გადასაწყვეტ საქმესათვის მოეყარა თავი, ნახევარ დუჟინამდე მოხსენებებიც დაეწერა უმთავრეს მათგანზე. მილის წყლის საქმეებით ხომ თითქმის ყოველ კრებებზე იქცევენ ხმოსნები თავს და ამხელათაც მას პირველი ალაგი ეჭირა საქმეთა სიაში, მაგრამ ვერ გაირჩა, რადგან ინჟენერ მიხაილოვისაგან შენიშვნებზე პასუხი გვიან მიეღოთ. ესაც არ იყოს, დღეს-დღეობით „ქალაქის მამები" წყალზე არა ნაკლებ საპატიო საქმეებით არიან დაინტერესებულნი: ეს საქმეებია ქუთაისზე რკინის გზის გამოყვანა და ქიმიურ ლაბორატორიის დაარსება. პირველ მათგანისათვის [illegible] ხანია ქუთათურნი იღვწიან, მაგრამ ჯიბე-ცარიელობის გამო, სადაც ჯერ იყო, ვერას გახდნენ, მოხსენებებმა და ლამაზ სიტყვებმა გული ვერავის აუტოკა და, ვგონებთ, რომ დღესაც ვერავის აცდენენ ამგვარებით, ყოველ შემთხვევაში, როგორც დღევანდლამდე ნამოქმედარმა დაგვარწმუნა. მაგრამ ქართველი კაცი სამარის კარამდე გაიძახის „ცდა ბედის მონახევრეაო" და ქუთათურებს ხომ არა ქართველობას ლიხთ იმერნიც ვერ უკიჟინებენ და მაშასადამე, ესენიც ამ ბრძნულ თქმულებას ადგანან. ამგვარათ გუშინ-წინ კავკასიის რკინის გზების უფროსის მიერ უარნაყოფი ამათი თხოვნა დღეს ისევ ახლდება სატახტო ქალაქ პეტერბურგში შუამდგომლობის აღძვრით.

საქმე ისაა, რომ რადგან მაგისტრალის მეორე ლიანდაგის ქუთაისზე გამოყვანას დღესაც უარობენ, დღეს-დღეობით ქუთაისისათვის მეორენაირმა კომბინაციამ ამოყო თავი. ესაა კავკავის რკინის გზის მმართველობის უფლება შეუერთოს დასავლეთის საქართველო რუსეთს შავი ზღვის პირად რკინის გზის გაყვანით. ეს უნდა მოხდეს მათის ანგარიშით ზუგდიდზედ და ახალ-სენაკზედ გზის გავლით. ქუთაისი-კი შუამდგომლობს ხსენებულ მართველობის წინაშე, რომ ეს შეერთება მოხდეს ზუგდიდსა, სენაკსა და ქუთაისზედ გატარებით ესეთი მიმართულებაო, ამბობს გამგეობა თავისს ამ საგანზე მოხსენებაში, გარდა იმ ბუნებრივ სიმდიდრისა, რომლითაც შემკულია მდინარე ენგურისა და ცხენის-წყლის მიდამოები, საიდანაც გააქვთ აუარებელი სიმინდი—სამეგრელოს სარჩო-საბადებელი,—ამ გზას ექმნება გადასატანი აუარებელი საქონელი, პური, მინერალური სიმდიდრე, ეყოლება მრავალი პასაჟირები, რადგან მეგრელები თითქმის მოსიარულე, ვაჭარ-ხალხად გადაიქცა. და თუ ყოველივე ამას დაუმატებთ იქაურ ტყეების სიმდიდრეს, რომელთა რაოდენობა შემდეგის ციფირებით აღუნუსხამთ მთავრობის მოხელეებს ვუჩინოს, მარგრაფს და დუნაევსკის, მაშინ თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ეს გზა არა თუ მალე გამოიყიდის დანახარჯს, არამედ დიდძალ სარგებლობას მისცემს გამკეთებელს. აი რაგვარი ციფრები წარუდგენიათ ზემორე დასახელებულ მოხელეებს 1892 წ. სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულ მედვედევისათვის სამეგრელოს ტყეების და იმის ექსპლოატაციის შესახებ. ცხრა სახაზინო აგარაკების ტყეები, რომელნიც დაშორებულნი არიან დაბა ზუგდიდზე 30—35 ვერსით, შეიცავენ 2,000,000,000 კუბიკურ ფუტს და თუ ვიანგარიშებთ თითო კუბ. ფუტზე 1,5 ფუთს, ჩვენ მივიღებთ 3,000,000,000 ფუთ გადასატან სიმძიმეს. ამ ციფრს თუ 33 წელზე გავყოფთ, წელიწადში გზას ექნება გადასატანი 90,909,090 ფუთი საქონელი ხე-ტყის მასალა. მხარის ამ გვარ სიმდიდრეს აღიარებენ მთავრობის მოხელეებიც-კი და მაშ რკინის გზის გაყვანის საკითხი სამეგრელოზე უეჭვო ყოფილა. მაშ დღეს ტეხნიკურ მხარეზე და გზის სასარგებლო მიმართულებაზეა ლაპარაკი. ამაში ქუთაისმაც მონაწილეობა მიიღო, გაგზავნა „რეკოგნოსციროვკაზე" ქალაქის ინჟენერი ჯორჯაძე, რომელიც, მართალია, გზის აღნიშნულ მიმართულებას ტეხნიკურ მხარეს ვერ უქებს, მაგრამ იგი მაინც ამბობს ამ დაბრკოლების „აცდენა შესაძლებელი იქნება დაწვრილებით

ფელეტონი

გიგუცი

(ამბავი)

შემოდგომაა—ეს ერთი კვირაა ცა ნაღვლიანად ისინსლება—დილა ადრიან სოფელ პანტოვანს ჯანღი გადაჰკვრია. მეტის-მეტ, დაჟინებულ ავდრისაგან არე-მარეც იცრემლება. აგერ შაქაროანთსა რა ფუსფუსია, დედაკაცების მისვლა-მოსვლა, ხმაურობაა. რა იცის საწყალმა შაქარომ, თუ ეხლა ამათ სახლში რა ყოფაა. შაქაროს ცოლი ზენო თმაგაწეწილი დასცქერის გაშტერებული თავისს პაწაწა საყვარელ გიგოს და ორთავ ხელებს გამწარებული თავ-პირში იცემს, მუშტებით გულს ინადგურებს, ცრემლები ჩამოსდის ღაპა-ღუპით, მუხლებში იშენს. წელიწადი ჯერ არ არის, რაც შაქარო სალდათათ წაიყვანეს, ცოლი და ერთი წლის გიგო-კი სახლში დასტოვა, გულ-ჩათუთქულმა, ატირებულმა დედისა და თავისზე პატარა, მომდევნო ძმის სინაბარა. ცეცხლი იყო ამათი გაყრა, ერთმანეთის დაშორება. „შენი ჭირიმე ზენო, შენ გენაცვალე, აგრემც თავს შემოგევლები, ჩემს გიგუცას გაუფრთხილდი, ცივი ნიავი არ მიადინო, ავად არ გახდეს. ოღონდ ეგ მშვიდობით დამახვედრე და მე ჯანი გამვარდეს ოთხი წელიწადი, თუ გინდა დაჭერილი ვყოფილვარ ტუსაღანაში—შენც უდედაჩემოთ ნურსაით წახვალ, ღამე დგომითაც ნურსად დარჩები",—ეუბნებოდა გამოთხ[illegible]ბისას, სალდათათ მიმავალი შაქარო—„მ[illegible] ერთი კიდევ გაკოცო, შენ გენაცვალე, ჩემ[illegible] გიგუცი"—ეალერსებოდა საყვარელ არსებ[illegible] შაქარო. გიგოც თავისის პატარა, ბუნჩულ[illegible] ელებით ყელს ეხვეოდა მამილოს. აუწერ[illegible] სატანჯველი იყო ამათი გამოთხოვებ[illegible] სურათი—ყველას უნდოდა თავი შეეკავებ[illegible], არ ეტირნა საქვეყნოდ, მაგრამ ცრემლ[illegible] ახრჩობდათ, ყელში ჰქონდათ მობჯენილი, [illegible] ოლოდ ზენო სლუკსლუკებდა უჩუმრ-უჩ[illegible]ათ. „მშვიდო"... ვერ დაათავა შაქარომ. [illegible] ოდა იქაურობა, მოჰყვნენ ხმა-მაღლა მ[illegible]-ვაებას, გადაეხვივნენ სათითაოდ შაქარო[illegible] დედა, ძმა, ცოლი, თვისი და ტოლი. „[illegible] თავს გაუფრთხილდი, წერილი მალი-მალ[illegible] გვწერე, ეგებ უშენობა წერილებმა მა[illegible] გვატანინოს",—ეუბნებოდა თავის მხ[illegible] ქმრის სიყვარულითა და ხვევნა-ალერს[illegible] ჯერეთ გაუმაძღარი ზენო. „თქვ[illegible] ჩემი ჯავრი ნუ გექნებათ, ეგ არის [illegible] ლსა და კარს ვაკლდები, ჩემი თავი[illegible] ლ შვილს დაუძვირდება, თორემ მე იქ რ[illegible] მივა, ისეთი რა ჯაფა იქნება, ვერ ავ[illegible] ო?! თუ ჩემი გიგუცი თან მეყოლებო[illegible] მაშინ ტარტაროზებიც ვერას დამაკლ[illegible] ენ!.. მაგრამ ეჰ... კიდევ ამას გთხოვ და [illegible] წები, გიგუცის გაუფრთხილდი, ისრე მო[illegible], ულოლიავე, როგორც შენს დამწ[illegible] ითს, რაღა თქმა გინდა"... წავიდა ვა[illegible] მოწყვეტილი შაქარო სალდათათ, მაგრამ უბედურ დღეზე გაჩენილს არ ასცდა, რისაც ეშინოდა, აკანკალებდა. იმისი თვალსაჩინო გიგუცი უიმედოდ ავადმყოფია, ბალიშზე გადასვენებული.

— რა არის, ადამიანო, გულის ფიცარი ნუ ჩაიგდებინე, ერთი სარკეში ჩაიხედე, ისე გაქვს დაკაწრული პირისახე, ადამიანს აღარ მიემზგავსები, არც მაგრე უნდა. შენს მეტს შვილი არავისა ჰყვარებია, რომ მაგრე არავის უქნია, ეუბნებოდნენ ზენოს სანუგეშოდ მოსული მეზობლები და თან ხელებს უჭერდნენ უფრო არ დაეფათრა ისეც დასისხლიანებულ-დასახიჩრებული პირისახე.

— თავს მოვიკლავ, შენ გენაცვალე გიგო?! შენი ჭირიმე, თვალები აახილე!.. მამაშენს რაღა პასუხი უნდა მივცე, რატო ვერაფრით მოუგრილე შენს ნამტკივნს, პატარა ჯანს, რაღა მეშველება, შვილო?!. მოსთქვამდა საბრალო ზენო და თან ღაპა-ღუპით ცრემლს აფრქვევდა.

— ჯერ საიმისოს რას ამჩნევ, რომ მაგრე გაჰკივი; უფრო არ გააცოდვილო, დადექ პატარა ხანი, ერთი მკითხავიდამ არ მოილოდინებ ი დედაკაცს, იქნება ეკკლესიიდამაც გამოვიდეს—ვენაცვალე იმის ძალსა და მადლს, საწირავი შემოვავლოთ და კარგად გახდება, —შეუტივა ზენოს დედამთილმა.

— ჩემი მტერი და დუშმანი გამობრუნდეს, როგორც ეხლა ჩემი გიგო-და გამობრუნდეს, რას მეუბნებით, ადამიანო—თავი დამანებეთ, თქვენ არ იცით ჩემს გულში ეხლა რა ცეცხლი ტრიალებს?!. შენ გენაცვალე, შვილო, გიგო!!!. და ერთი ღონივრად შემოიკრა გულში მუშტი.

— მართლა რას შვრები, დედაკაცო, ჭკვაზე ხომ არ შეიშალე?!. ამისთანა წადი-მოდი ავადმყოფი არ გვინახავს, თუ?.. სანამ მკითხავიდამ დედაკაცი მოვა,—ადექ თეთრები ჩააცვი, შანა შემოავლე, ზედაშეზე სანთლები დაანთე, ღმერთს შეეხვეწე, მომირჩინე-თქო, ეუბნებოდნენ ჯავრისა და ბოღმისაგან გაოგნებულს ზენოს აქეთ-იქიდამ.

— ადექ, ადექ, გაიგონე ადამიანის სიტყვა, რამდენი ყოფილა ამაზე უარესი ავადმყოფი, მაგრამ გამოკეთებულა...

— შენ გენაცვალე, დედავ ღვთის მშობელო,—ხელებ აღპყრობით შეჰღაღადებდა ზენო სანთლებ ანთებულ ზედაშის წინ დაჩოქილი,—ოღონდ მარჩინე ჩემი გიგო და ბერად დაგიყენებ, შენს კარს ვამყოფებ, სანამ დაცოლ-შვილდება—მაგისმა გულ-დამწვარმა მამამ ეგ დედამიწაზედ ნაცაქცაქევი, ნათამაშევი კიდევ ნახოს და ერთი თვე ცოლ-ქმარნი შენს კარს ვათევთ, ზვარაკს დაგიკლავთ, წირვას გადვიხდით, მუხლის კვრით რამდენჯერმე გარს შემოგივლი, შემოგევლები...

— აკი წელანვე გეხვეწებოდით, ზედაშეს სანთელი დაუნთეთ,—მისვლის უმალვე მიაყოლეს ზენოს იქ მყოფთ,—აი ნახე ყმაწვილმა თვალები როგორ ააჰყიტა?!

— აბა, დამანახვეთ ჩემი კარგი, ჩემი ვარდი გიგო?!. აბა, შენებურად მითხარ: დედავ, დედილო-თქო, შენ გენაცვალე, ჩემო გიგუცი?!. და ზენო დაეკონა საყვარელს შვილს.

— აი მკითხავიდამაც კარგი ამბავი მოიტანა ალათომ?! გავაზის წმინდა გიორგიდამ გამოსულა—საწირავი შემოავლეთ და სალოცავად უნდა წავიდნენ, ღამე უთიოონ, უთხრა სიხარულით დედამთილმა ზენოს.

— იმისი მადლის ჭირიმე და იმის სახელისა, ღამესაც ვუთევ და საწირავსაც შემოვავლებ—იქოს და იდიდოს იმისი სახელი, ბევრი გაჭირვებულისათვის ულხენია და ეს შვილიც მაჩუქოს, იმის სახსენებელის ჭირიმე, იმისი,—ამ სიტყვებით ზენომ თეთრი აბაზიანი მოარბენინა სკივრიდამ და გიგოს თავს შემოავლო: ღმერთო, გავაზის მადლო და ძალო, შენ მომირჩინე გიგო, რომ მოვიდე და შენს კარს ვილოცო, საწირავიც მანდ მოგართვა...

— ე რა ქაღალდები გიჭირავს ხელში, სახლში შემოსვლის უმალვე შეეკითხა ზენოს დედამთილი თავისს დანიშნულს ვაჟს ნიკას, რომელსაც ხელში წერილი ეჭირა.

— შაქროდამ წერილია...

— ხო მშვიდობას იწერება...

— აგერ, შვილო, გიგო, თვალები გაახილე, სალდათი მამიდამ წერილი მოგივიდა, არ გინდა გაიგო, რას იწერება?—და ამ სიტყვებით ზენომ ქვითინი ამოუშვა.

გამოკვლევის დროსო“ და მართლაც, რა ისეთი დაბრკოლება უნდა აღმოუჩნდეს დღევანდელ განვითარებულ ტეხნიკას ქუთაისიდგან ზუგდიდამდის ვაკე ადგილებში, რომ იგი მან ვერ სძლიოს, თუ-კი აქაც რუსულ „НО-ს და ОГОВОРЪ“-ებს არ დაუყენებენ წინ საქმეს!

ამების ასაცდენათ-კი 23 ენკ. კრებაზე საბჭომ ექიმ ს. თოფურიას, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ყველაზე უფრო დაინტერესებული ამ ოქმის ჩქარა მოგვარებაში, წინადადებით გადასწყვიტა დაუყოვნებლივ გაიგზავნოს დეპუტაცია პეტერბურგში ინჟენერ კერბიცთან მოსალაპარაკებლად და მერე სამინისტროში წარსადგენად. ამ დეპუტაციაში იქნება ქალაქის თავი, გუბერნიის მარშალი, რომელიც სათავად-აზნაურო საქმეებისათვის მიდის იქ და თუ საჭირო იქნა, ქალაქის ინჟენერიც. ამბობენ ფოთის თავი ნ. ნიკოლაძეც თავგამოდებით იცავს დღევანდელ მიმართულების პროექტს და მას დასაბუთებული მოხსენებაც წარუდგენია მთავრობისათვისო. თუ ეს ასეა, იქნებ ახლა მაინც გაუღიმოს ბედმა უჯიბობის გამო მივიწყებულ ქუთაისის მკვიდრს.

ქიმიურ ლაბორატორიის საქმეს ცალკე გავაცნობთ მკითხველს და ახლა გადავალ მუდამ ცოცხალ, მაგრამ ისევ უჯიბობის გამო მივიწყებულ საკითხზე. ესაა **ქუთაისში ღარიბთათვის საავადმყოფოს დაარსება**. ეს საკითხი „ქალაქის მამებს“ დღეს „ქუთაისის საქველმოქმედო საზოგადოების“ თავმჯდომარემ ღუბერნატორის ცოლმა გაახსენა. ქუთაისსო 40,000 მცხოვრებთან, ამბობს იგი ქალაქის თავისადმი მიმართულ წერილში, რომელიც იზიდავს ხალხს მრავალ სოფლებიდან, დღემდე არა აქვს არა თუ ღარიბთათვის ხელმისაწდომი საავადმყოფო, არამედ უმრავლესობისათვისაც. ექიმ თოფურიას თაოსნობით გაკეთებული საავადმყოფოთი ყველას არ შეუძლია სარგებლობა: 1, უსაღსრობის გამო და 2-რე იქ იაფ-ფასიანი ადგილებიც არ არის. ქუთ. საქ. საზ. სხვა-და-სხვა გვარ მოთხოვნილებათა შორის მკვიდრისათვის საავადმყოფოს დაარსება მიაჩნია ერთ უპირველეს საქმედ, რასაც უნდა მიეპყროს საზოგადოების მომეტებულ ნაწილის ყურადღება. ამისათვის მან განიზრახა თუ შეწირულებით, თუ თავისი მცირედი საშუალებით, დააარსოს საავადმყოფო ღარიბ კლასისათვის. ამ აზრს თანაგრძნობით შეეგებნენ არა მარტო ადგილობრივ, არამედ სხვაგანაც. ასე, მაგ. „ბუნგესა და პოლოშკოვსკის“ ფირმა შეგვპირდა მუქთად საჭირო ცემენტს და რკინას, ოქრომჭედლიშვილის ფირმა ხე-ტყის მასალას. ქუთ. საქ. საზ. სრულიად დარწმუნებულია, რომ აქაური ქალაქის თვითმმართველობაც დახმარებას აღმოუჩენს საავადმყოფოს აშენებას, სთხოვს მას დაუთმოს ცალიერი ადგილი მესხეთის მოედანზე, რადგან იგი შუაგულ ქალაქშია და ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება.

საქველ-მოქმედო საზოგადოების ასეთ თანადროულ თხოვნას გამგეობაც თანაგრძნობით შეჰხვედრია და თავისს მოხსენებაში ისიც ამის მიუცილებელ საჭიროებას ადასტურებს და ამბობს ამ საქმის დამწყები მთელი მკვიდრის მიერ ზნეობრივადაც და ნივთიერადაც თანაგრძნობის ღირსიაო. საქ. დებ. სტ. 2, VI პარ. ძალით ქალაქი ვალდებულია იზრუნოს საქველ-მოქმედო და საექიმო დაწესებულების დაარსებისათვის, მაგრამ ქუთაისის ქალაქის კასა ამგვარობისათვის მეტად ძუნწია და რა-კი ამაებზე მზრუნველნი კერძოთ გამოჩნდნენ, „ქალაქის მამებისათვის“, რა თქმა უნდა, ამგვარი წინადადება ზეციური მანანაა. მაგრამ მაგარი ის არის, რომ წინადადების შემომტანნი სთხოვენ ქალაქს ისეთ საჭირო ალაგს, ურომლისოდ ქალაქი სამერმისოთ არ ივარგებს. იმ ადგილის ერთი ნაწილი ქალაქმა უკვე დაუთმო მომავალ ახალ საქალაქო სასწავლებელს და დანარჩენიც მას ბაღისთვის უნდა. მაინც კიდევ ქალაქის გამგეობა იქით სცემია, აქეთ სცემია და სადგურის მახლობლად, სალორიის აგარაკზე მიუწოდებია 1200 კვ. საჟენი ქალაქის ადგილი მთხოვნელებისათვის. მაგრამ ეს იმათ არ უნდათ, სიშორის გამო, თუმცა ქალაქი ჰპირდება ახლო მომავალში იქითკენ კონკას გავიყვანთ და ისედაც შარაგზა დღესაც კარგი კეთდებაო. ღარიბი ხალხი-კი ამ მხარეზედაც მრავალია, ადგილი-კი მდებარეობით უკეთესი თუა, თორემ ნაკლები არაა ღულაძისეულზე. სასურველია გამგეობამ, თუ ეს ადგილი არა, სხვა, მაგ., ახლანდელ გოსპიტალსა და კაზარმებს შუა რიონის პირში მდებარე ქალაქის ადგილი მისცეს ხსენებულ საზოგადოებას თვისის მეტად საჭირო მიზნის განსახორციელებლად. დღეს უიაფ-ფასიან საავადმყოფოს გამო დიდ გაჭირვებას ითმენს ღარიბი ხალხი, რომელსაც არც თოფურიას საავადმყოფოსათვის აქვს თვიურად 90 მ. და არც ექიმთათვის ბინებზე სავიზიტოთ 2—3 მან. ქუთაისი ხომ ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებებს მოკლებულია ღარიბთათვის და სხვისი თაოსნობით ამას მაინც ხელი მაგრათ ჩასჭიდოს, თუ უნდა „თანამედროვე ქალაქების“ რიცხვში ოდესმე მაინც ამოყოს თავი.

ისო.

(შემდეგი იქნება)

ჭიათურა. აქ სამკითხველო არსებობდა ბ-ნ ჯ. იაშვილის მიერ აღებულ ნება-რთვით. სანამ არსებობდა, თავის დანიშნულებისთვის არ უღალატნია: იწერდა ყველა ადგილობრივს გამოცემებს და რამდენიმეს რუსულს. ჰქონდა ყოველ-გვარი ქართული წიგნები, აგრეთვე რუსულიც საკმაოდ შეეძინა.

ამ ორისა თუ სამის წლის წინად, შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ დაგვიარსა ახალი წიგნთ-საცავ-სამკითხველო, ძველი წიგნთ-საცავი გაუქმებული იქმნა და ყოველივე მისი ქონება გადაეცა ახალს სამკითხველოს. ყველას იმედი ჰქონდა ახლა-კი საქმე უკეთ წავაო. მაგრამ აგერ გადის მესამე წელიწადი და ჩვენი ნაქები წიგნთ-საცავ-სამკითხველო ჯერ ისევ ვერ მოდონიერდა. იმედია, სასარგებლო წიგნებით გაამდიდრებენ.

სიმართლე.

დუშეთი. 1900 წელს, დუშეთის მაზრას წვრილ-წვრილი საზოგადოებები შეერთდნენ დიდ-დიდ საზოგადოებებად ანუ სამამასახლისოებად.

ეს შეერთება გამოიწვია იმან, რომ მანამდის მამასახლისი მსაჯულის საქმეს ასრულებდა, მსაჯული ნაცვლისას და ბოქაული მამასახლისისას, ამგვარი არევ-დარევა არავისთვის სახეირო არ იყო. აი, სწორედ ამის გამო მთავრობამ მოიწადინა სასოფლო სამმართველოები მოეწესრიგებინა, მამასახლისებისთვის ჯამაგირი გაეჩინა.

თუმცა სოფლელებს არ უნდოდათ, მაგრამ მაინც დასთანხმდნენ, რომ რამდენიმე წვრილ-წვრილი ბაკო-სოფლებისათვის თითო მამასახლისი დაედგინათ და ამ მამასახლისებისთვის ჯამაგირები დანიშნათ.

სხვათა შორის, დუშეთის მაზრაში მეც მხვდა წილად მცხეთის საზოგადოების მამასახლისობა. ამ საზოგადოებაში 11 სოფელია და 700 კომლი.

განაჩენის ძალით, უნდა მომეცეს კომლზედ წელიწადში 1 მ. 70 კაპ. და სულ 1190 მანეთი. აქედგან იმავ განაჩენით ჩაფრებს უნდა მიეცეს თვეში 30 მ., მწერალს 30 მ., კანცელარიის ხარჯად 50 მ., სულ 770 მ., სამამასახლისოდ რჩება 420 მან. ამით ცხენიც უნდა შეინახოს კაცმა და სახლიცა.

ჩემის სამის წლის სამსახურის განმავლობაში შევნიშნე, რომ: 1) სასოფლო სამმართველო (კანცელარია) ხალხზედ დაშორებით არის, ხან ოცის ვერსის და მეტის მანძილზედ. სოფლის მომჩივარს, ქვრივ-ობოლს საჩივარი აქვს ქათამსა ან ერთ კოდ ღალაზედ, ან თავისის შვილის ერთის თვის საჯამაგიროზედ. ეს სულ ღირს 40 კაპეიკიდგან 2 მანეთამდე და მისი 20 ვერსზე წასვლა, ისიც ზამთარში, დიდად გასაჭირია. 2) მსაჯულებს არავითარი შემწეობა არა აქვთ დანიშნული, რომ ბეჯითად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა. 3) ნაცვლებად ირჩევს სოფელი ღარიბ-ღატაკს, უხაროს და მარტოხელს, იმ აზრით, რომ იმისმა ბევრიდგან სითარხნემ სოფელს ზარალი არ მისცეს. ამგვარი ნაცვლები თავიანთის ლუკმა-პურისთვის ჩალიშობენ, ბევრჯელ სხვა სოფლადაც მიდიან დღიურ სამუშაოდა და სოფელი რჩება უპატრონოდ და უმოხელეოთა. ამ დროს, თუ სოფელს რამე დააკლდა, ყველას მამასახლისს სდებენ ბრალად.

ზ. გარსევანიშვილი.

კავკასია

ბესლანი (კავკავის მაზრა). ამ სოფელში 50 კომლამდე ქრისტიანი ოსებიც ცხოვრობენ და დანარჩენნი მაჰმადიანნი არიან. ამ ქრისტიანს ოსებს ყოვლად-სამღვდელომ, კავკავისა და მოზდოკის ეპისკოპოსმა ვლადიმირმა ამ სამის წლის წინად დაუნიშნათ მღვდელი, და თან ყ-დ-სამღვდელოსავე განკარგულებით და ლოცვა-კურთხევით დაიწყეს ეკკლესიის აშენება. ეკკლესიის აშენებისთვის 3,000 მანეთი სახელმწიფომ მისცა, დანარჩენი კეთილი ხალხის შემოწირულებით აშენდა და კიდეც დამთავრდა მშვენიერი გუმბათიანი ეკკლესია. ამ თვის 15-ს, ყოვლად-სამღვდელო ვლადიმირმა არდონის სამისიონერო-სასულიერო სემინარიის რექტორის და სხვა სამღვდელოების თანადასწრებით აკურთხა ეს ეკკლესია. აქვე იყო მრავალი საპატიო კაციც.

ნებითი-ქრისტიანი (კავკავის მაზრა). ამ გაზაფხულზედ, როგორც „ივერიაშიაც“ მქონდა მოხსენებული, თულანოვების მიწა, 6,000 დესეტინა, იყიდეს შიდა რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიების მცხოვრებთ, სულ ორასამდე კომლმა გლეხმა. რუსები ახლა ნაყიდ მიწაში ოთხ სოფლად დასახლდნენ.

ბესლანი (ოსეთი). 19 სექტემბერს, საღამოს ათ საათზედ ვიღაცა სამი შეიარაღებული კაცი მისცვივნიან სახლში ნინა ალიკოვისას, რომელიც სცხოვრებდა რკინის გზის ლიანდაგის მარჯვენა მხრივ მდგომარე პატარა ერთ-სართულიან ხის სახლში, უტაცნიათ ხელი, გამოუყვანიათ, ჩაუსვამთ ურემში და წაუყვანიათ სოფელ სანიბარსში. იმ ღამეს ეს ამბავი ვერავინ შეიტყო, მეორე დღეს გაიგეს და ამ სოფლისავე მამასახლისმა აღმოაჩინა მტაცებლები: ერთი მათგანია სვიმონ ანტაშევი და ორიც თვითონ ნ. ალიკოვის მეზობელი... პირველს განზრახვა ჰქონია შეერთო ცოლად ეს მოტაცებული ქალი.

ა. ყამარაული.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. დაარსდა ახალი გაზეთი „Die Zeit.“ ამ გაზეთს აზრად აქვს ებრძოლოს ისეთს მწერლობას, რომელიც ნაკლებად იწუხებს თავს ქვეყნის ნამდვილ ინტერესების სამსახურით და უფრო იმას სცდილობს, რომ დიდი შემოსავალი ჰქონდეს. ამისთანა მწერლობა ფულის გულისთვის მზად არის ყოველ-გვარი ხერხი იხმაროს: ბეჭდოს რეკლამები, სამარცხვინო განცხადებანი და ზოგიერთ უცხო ქვეყნისათვის სასიამოვნო ამბავნი. ამ უცხო ქვეყნებიდგან ასეთს ჟურნალ-გაზეთობას აუარებელი ფული მისდის ესრედ-წოდებულ „საიდუმლო და სარეპტილიო ფონდიდგან“. ვერა რიგიანი და პატიოსანი გაზეთი ვერ ახერხებდა ამისთანა გაზეთებთან ბრძოლას, რადგან პატიოსანს გაზეთს შეძლება და საღსარი ნაკლებ ჰქონდა, ხოლო შეძლებული უნამუსო გაზეთები ათასობით ჰხარჯავდნენ ფულს დეპეშებისა და ამბებისათვის, კორესპონდენტებისა და თანამშრომლებისათვის. ამიტომ „Die Zeit“-მა, ანუ იმ ჯგუფმა, რომელმაც ეს გაზეთი დაარსა, შეაგროვა ფონდად დიდი ფული, რომ პირველშივე ფართოდ დაიწყოს საქმე და წარმატებით ებრძოლოს გამდიდრებულ უპატიოსნო გაზეთებს. „აქამდეო,—ამბობს რედაქცია „Die Zeit“-ისა, ვენაში იყო მდიდარი, მაგრამ უმართებულო გაზეთები და პატიოსანი, მაგრამ ღარიბი გაზეთები. ძლივს მოვახერხეთ ახლა და აგერ დავაარსეთ გაზეთი მდიდარი, დამოუკიდებელი და პატიოსანი.“ გაზეთს თურმე ფონდად აქვს ორ მილიონ კრონზედ მეტი. გაზეთის მახლობელ თანამშრომლებად არიან ისეთნი კაცნი, როგორც ცნობილი ისტორიკოსი მხატვრობათა მუტერი, კრიტიკოსი ბურკჰარდი, ეკონომისტი ფილიპოვიჩი, შნიცლერი და სხვანი, ესე იგი ისინი, ვინც ისეთის პატიოსნებათ და რიგიანობით აწარმოებენ კვირეულ გაზეთს იმავე სახელწოდებისას.

ინგლისი. გენერალი მიულნერი, რომელიც ბურებთან ერთად იბრძოდა, ადრიცხავს იმ ზარალს, რომელიც მოუვიდათ ბურებს ომის გამო, აგრეთვე სახლების დაქცევისა და ფერმების გაოხრებით, საქონლის დახოცვით და სხ. მიულნერის გამოანგარიშებით, ეს ზარალი აღემატება 60 მილიონ გირვანქა სტერლინგს (600 მილიონ მანეთს).

საფრანგეთი. ემილ-ზოლას სიკვდილი, როგორც გამოირკვა, უბედურის შემთხვევის შედეგია. ბუხარში გაჭედილა აგური სახლის შეკეთების დროს და არ აუშვია ნახშირის სუნი, რომელიც ოთახში დატრიალებულა. ამნაირად ნახშირის სუნი გამხდარა მიზეზი ამ შესანიშნავის კაცის სიკვდილისა. ზოლა 62 წლისა იყო. გროვდება ფული მისთვის ძეგლის ასაგებად. პირველ დღესვე მოგროვდა 2000 ფრანკი. ანატოლ ფრანსს შემდეგი სამძიმრის დეპეშა გაუგზავნია ზოლას ჭირისუფალთათვის: „თქვენი გლოვა საყოველთაო გლოვაა. კაცობრიობამ დაჰკარგა ერთის ყოვლად დიდებულის კაცის ჭკუა, ერთის ყოვლად დიდებულის კაცის გული. ზოლამ დაუტოვა კაცობრიობას დიდებულნი ნაწარმოებანი და დიდი მაგალითი სულ-გრძელებისა“. სამძიმრის დეპეშები მისდის ზოლას მეუღლეს საფრანგეთის ყველა კუთხიდგან, აგრეთვე იტალიისა, ინგლისისა და ავსტრია-უნგრეთის ყველა ქალაქიდან. ზოლას მეუღლემ გამოაცხადა, რომ ჩემის ქმრის ანდერძის წერილი შენახულია ჩემს სტოლშიო. მომრიგებელმა მოსამართლემ იმ წამსვე დაბეჭდა ის ოთახი, სადაც ანდერძი ინახება.—ზოლას დარჩა ქონება ხუთ მილიონ ფრანკამდე, რომელიც მხოლოდ სალიტერატურო შრომით ჰქონდა შეძენილი. ზოლას კანონიერი შვილი არ დარჩენია. დარჩა მხოლოდ ორი ქალი, რომელიც შეეძინა უკანონოდ. ზოლას შეუყვარდა თავისი მოსამსახურე ქალი და იმისაგან მიეცა შვილები, რომლებიც ძლიერ უყვარდა და რომელთაც ძრიელ ანებივრებდა. ამ ამბავს უმალავდა ცოლს, რომელსაც დიდს პატივს სცემდა და საუკეთესო მეგობრად მიაჩნდა 30 წლის განმავლობაში. ვიღაც ბოროტმა ადამიანმა ხელ-მოუწერელ ბარათით შეატყობინა ეს ამბავი ზოლას მეუღლეს. საცოდავს ადამიანს თავ-ზარი დაეცა და დიდად შესწუხდა, მაგრამ მაინც გული არ შეიცვალა თავის ქმარზედ და კეთილი მეგობარი იყო მისი. რატომ მე არ მოვკვდი უწინ, მე რა სასარგებლო ვარ. მაგას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გათავებული თავისი სამწერლობო საქმეო.

სხვა-და-სხვა წერილები

სკოლა თუ სტიპენდია?

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ, როგორც მოგეხსენებათ, უმაღლესად ნაბოძები 20 ათასი მანეთი უკვე სკოლის დასაარსებლად გადასდო და არა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებლში მოსწავლეთა სტიპენდიებათ. ამ გვარივე დანიშნულება უნდა მისცეს, ჩემის ფიქრით, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამაც თავის 20 ათას მანეთს აგრეთვე უმაღლესად ბოძებულს, რადგანაც იმერთა და ამერთა ჭირი და ლხინი ერთი და იგივეა: რაც ერთს ეჭირვება—იმას არის მოკლებული მეორეც.

ჩემის აზრით, ყოველი ჩვენი ახლად შეძენილი გროში უსათუოდ სკოლას უნდა მოხმარდეს და სკოლას—ახლად დაარსებულს, ამა თუ იმ ტიპისას, იმის დაგვარად, თუ რა ნაირის სკოლის ხარჯს აუვა ჩვენი ფული.

რა ვუყოთ, რომ ამ 20 ათასი მანეთით ჩვენ ვერც უმაღლეს სასწავლებელს დავიარსებთ, ვერც საშუალოს, რაც, მართალია, ყოველისფერზე მეტად გვეჭირვება?!

დავიფუძნოთ, ბატონებო, თუ გინდ იაფფასიანი მოსამზადებელი სკოლა, თუ გინდ სკოლა-პანსიონი, ერთი სიტყვით ის, რის ხარჯსაც დაჰფარავს ყოველ წლობით ეს ოცოცი ათასი მანეთი. დაე ამ სკოლაში ჩვენმა შვილებმა, თუ გინდ მარტოკა წერა-კითხვა, შეერთება-გამოკლება ისწავლონ, წანაკითხის გაგება შესძლონ, ეგ მეტად სასარგებლო იქნება ჩვენის ეკონომიურად დაქვეითებულის საზოგადოებისათვის. ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენ მეტის-მეტად გვეჭირვება გამრავლება წერა-კითხვის მცოდნეთა საზოგადოდ. ამ წერა-კითხვის მცოდნეთა შორის ის, ვინც მეტს სწავლის ნიჭს გამოიჩენს, შევა საშუალო სასწავლებელში და ადვილად დაამთავრებს სწავლას და შემდეგაც არა ნაკლებ ადვილად გაიკვლევს გზას მეტის სწავლისათვის ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში. და ვინც ნაკლების ნიჭისა აღმოჩნდება, იმან ხელი მიჰყოს ვაჭრობას, ხელოსნობას, მოხელეობას, ოჯახის მოვლას და სხვას. სხვა არა იყოს-რა, ცხოვრებაში ყოველ ნაბიჯზე ყველასათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს წერა-კითხვის ცოდნა; ვინც ამ უკანასკნელს მოკლებულია, ის არც ხეირიან ვაჭრად გამოდგება, არც კარგ ხელოსნად, არც რიგიან

— მოიცა, ერთი წაიკითხოს კაცმა, გავიგოთ, რას იწერება,—შეუტია რძალს დედამთილმა,—აბა, ერთი შვილო გაგვაგონე, რა სწერია მაგ წერილში?!.

..„მოგიკითხამ დიდის სიყვარულით, ჩემო ერთგულო ძმაო ნიკავ? ვიცი ჩემთვის შეგტკივა გული, ჩემს მაგიერ იტანჯები, მაგრამ რას გააწყობ, მე რა მალამო მომეცხობა—მხოლოდ მე თქვენი დარდი მკლავს, რომ ვერა გხედავთ და თქვენთან არა ვარ, ნაღველი მისივდება. ნეტავი, ერთი ეხლა მანდ მამყოფა, თქვენი თავი დამანახვა, ჩემი გიგუცი დამაკოცნინა, ჩავეკონებოდი და თუნდ ოთხი წელიწადი კიდევ სხვა ვყოფილიყავ აქ. ისეთი სურვილი, ჟინი მომივლის ხოლმე თქვენის ნახვისა, რომ ლამის არის თქვენის უნახაობით გავგიჟდე ან ჯავრისაგან დავსნეულდე. გარდა ამისა დარდი მაქვს, ვერა გავიგე რა, არა მწერამთ ან პური რა მოგივიდათ, ან ქერი, ვენახებსაც დაჰკრეფავდით, რა გამოგივიდათ?! ჩემს ცხენზე ხომ არავისა ჰსვამთ? წინაზე იწერებოდით ნახირშია გაშვებულიო! ჩემს მოსვლისათვის გაასუქეთ, მაგრამ რა ეშმაკი, ამ შემოდგომით არ მითხოვენ, ასე რომ შენს ქორწილში მე არ უნდა ვიყო?!. თუ მანდ არ ვიქნები, ის სიკეთე მიყავით მაინც, ჩვენ რომ ვერცხლის ყანწები გვაქვს, მაყრებს იმით ჯერ პირველად ჩემი სადღეგრძელო დაალევინეთ—ამ სიტყვების წაკითხვაზე თითონ ნიკას, დედას, ცოლს და ნათესავებს ცრემლები წასკდათ—„მომიკითხე დიდის სიყვარულით დედა ჩემი, ჩემო ზენო, ეს დაბეჭდილი წერილი მაგას მიეცი, ჩემს გიგუცის თვალებში ასჯერ აკოცე ჩემს მაგიერ, ნეტავი ეგ მაინც არის აქ მომიგდო, ამ დარდიან გულზე, თუ მე მანდ მოსვლა დემენატრულა“... აგერ, შვილო, მამა შენს ნახვასა ნდომობს, რატო ხმას არ იღებ, შვილო, ჩაუმატა ზენომ ხმა მაღლა.—„აქაურს საჭმელს ვერ შევეჩვიე, ძმაო გენაცვალე, თუ მოახერხებ, ერთი ხუთი მანეთი გამომიგზავნე, მანდედამ წამოღებული ფული სულ შემომეხარჯა. მომიკითხე ჩემი ძმა ბიჭები, მომიკითხე ჩვენი ნათესავები ყველანი. წერილი მომწერეთ მალ-მალე, თქვენი ამბები გამაგებინეთ—გიგუცის ვენაცვალე, როგორ არის, შემატყობინეთ. შენი სალდათი ძმა შაქარო“...

— აგერ, შვილო, მამაშენი იწერება, ჩემი გიგუცი როგორ არის, მომწერეთო.—ამ სიტყვებით ზენო გიგოს დააშტერდა.—უი, ვილუპები... თვალები მეშრიტება... ხალხნო... საყვარელი გიგუცი ხელიდამ მიმდის... აბა უყურეთ ნიკაპს, როგორ ათამაშებს... სალდათ მამა შენს რაღა მივწერო, რაღა პირით შევხედო, ვაიმე შვილო გიგო, მოკვდეს ჩემი თავი... გაჰკიოდა ტყვია-ნაკრავი, ღველფ მოკიდებული დედა... მეტის-მეტი ბოღმისაგან თვალზე ცრემლი გაჰშრობოდა ზენოს, უცრემლოდ იდაგებოდა; იქ მყოფნი-კი იმის თადარიგში იყვნენ პაწაწა ანგელოზ გიგოს თვალები დაჰყეტილი არ დარჩენოდა სულის ამოსვლის დროს.

ე. მ—შვილი.

ვარაზვაჩე ვარაზვაჩეს ძე

(ბერძენ-რომაელ მწერლების ნაამბობიდამ)

ვარაზვაჩე ბრძენი და ქველი განაგებდა ქალაქ ედესას. დიდი ერთგული იყო იმპერატორისა, რომელიც მას სწყალობდა და თავის პროტოსფათარად (მეჭურჭლეთ-უხუცესად) ჩაერიცხა.

მორჭმით სცხოვრებდა ვარაზვაჩე, მოქალაქეთ შვილებივით უვლიდა და ჰპატრონობდა.

არაბთ მთავრები ბევრჯელ შეჰბმოდნენ, ბევრჯელ იერიში მიეტანათ ქალაქის ასაღებად, მაგრამ ამაოდ. დიდის მარცხით უკან გაბრუნებულიყვნენ: ვარაზვაჩეს ყოველთვის შეემუსრა იგინი.

მტრები სიბრაზით იხერხებოდნენ. მრავალგვარ ღონეს იძიებდნენ ჯავრის ამოსაყრელად, ვარაზვაჩე-ქართველის შესამუსრავად.

იყო სეკდემბერი 1038 წლისა. ედესას მოვიდა ვაჭართა ქარავანი. ხუთასი დატვირთული აქლემი მოჰყვანდა ხუთასს ვაჭარს. მათ უძღოდნენ არაბთ მთავრები.

ქალაქის შორი-ახლოს შეჩერდნენ და ვარაზვაჩეს აცნობეს თვისი მოსვლა.

— ვინ ხართ და რა მოგაქვთო, ჰკითხა ელჩს ვარაზვაჩემ.

— არაბთ მთავარნი ვართ, გზა მოგვეც, ძღვენი მიგვაქვს იმპერატორისათვისო, მიუგო ელჩმა.

— ჩვენში სტუმარს უპურ-მარილოდ არ გაუშვებენ, მეტადრე თუ მეგობრადაც მოდის. გვეწვიეთ, მობრძანდით ჩვენსა, ილხინეთ, დაისვენეთ და მერე გაგაცილებთ.

ელჩმა ეს სიტყვა მიუტანა არაბთ უფროსებს.

მოვიდნენ. გაიმართა დიდი ნადიმი. არაბნი ლხინობენ. ედესის თავი კაცები აქვე არიან. ციხის საცავებზე აქა-იქლა დაშთენილა დარაჯი. იგინიც ვარაზვაჩეს სწვევიან.

გახშირდა ნადიმი. ვარაზვაჩე სუფრის თავს ზის. ისმის საკრავის ხმა, სიმღერა. არაბნი აქებენ ვარაზვაჩეს: მის მკლავს, ჭკუას, ძალგულოვნობას, ჰფიცვენ ძმობას, მეგობრობას, საცაა, კიდეც აიშლებიან...

გარნა... აგერ მოვიდა ვიღაცა ღარიბი, ვიღაცა გლახა.

— ბატონის ნახვა მინდაო, უთხრა გლახამ მეკარეს.

მოჰხსენდა ვარაზვაჩეს. სტუმრებთან ბოდიში მოითხოვა და გლახასთან გამოვიდა.

— რას მეტყვი, მეგობარო, დაეკითხა ვარაზვაჩე.

— ქალაქი გეღუპება...

— როგორ, გამაგებინე?

— ეგენი მეგობრად არ მოსულან. შენი დამხობა უნდათ, ქალაქის დალეწვა.

— რას ამბობ, როგორ?

— საღამო ჟამს მაგათ ბინაზე მიველი, მოწყალების სათხოვნელად.

-- მერე?

— იქ ყური მოვკარ, რისთვისაც მოსულან ეგენი.

— რისთვის?

— ხუთასის აქლემით ათასი კასრი მოუტანიათ, ყოველს კასრში თითო მეომარი ჰყოლიათ დამალული. აზრათ ისა ჰქონიათ, რომ მეგობრობით მოვაღორებთ ვარაზვაჩესო და ქალაქს ავიღებთო. საცაა, კასრებს დალეწავენ, მეომრებს გამოუშვებენ დ შემოარტყმენ ქალაქს. ისინი გარედგან, ეგენი შინადგან მოგვესევიან. ზოგი კასრიდგან კიდეც გამოიყვანეს მეომრები.

— გმადლობ, ძმაო, სამსახურისთვის, დიდს წყალობას მიიღებ, ხვალ მნახე,—ამ სიტყვით ვარაზვაჩემ გაისტუმრა გლახაკი, თვითონ ისევ მხიარულის ღიმილით მონადიმეთ დაუბრუნდა და უთხრა:

— ძმანო, განაგრძეთ ნადიმი, საქმე-რამ გამომიჩნდა, ერთს წუთს შევასრულებ და ისევ მალე გიახლებითო.

წავიდა ვარაზვაჩე. ციხის დარაჯნი წაიყვანა, გრდემლითა და ცულის ყუით დალეწა და დაფქვა 1000 კასრი მეომრიანად, მერე დაბრუნდა და თავები გააყრევინა „მეგობრებსაც“.

ედესამ კვლავ შეინარჩუნა თავისუფლება.

ბერი.

მოხელედ და მეოჯახედ. წერა-კითხვის გავრცელებით ყველას გაუადვილდება დღიურ სარჩოს მოპოება; ჩვენს ეკონომიურად დაძაბუნებულს თავად-აზნაურობას ხელთ მიეცემა ამნაირად ერთი იმ საშუალებათაგანი, რომელიც წინ წასწევს მის დროთა ვითარებით დაჩაგრულს მდგომარეობას. ამას მოჰყვება შემდეგში ბევრი სხვა სიკეთეც.

რატომ სტიპენდიებათ არ უნდა გავანაწილოთ ეს 20 ათასი მანეთი? ვიდრე ამის პასუხს ვიტყოდეთ, საჭიროა შევჩერდეთ იმ გარემოებაზე, თუ ეხლანდელი ქართველი სტუდენტობა რა გზით შოულობს სახსარს სწავლისას. მოგახსენებთ: ზოგი საშუალო სასწავლებელში კურს-დამთავრებეული თავის ხარჯით მიდის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის განსაგრძობად, ზოგიერთი — კერძო კაცთა ხარჯით, ზოგს კავკასიის სამოსწავლო ოლქისაგან ენიშნება სტიპენდია; და ვინც სრულიად უსაშუალოდ მიდის რუსეთში, იმასაც იქ ეძლევა ცხოვრების სარჩო და სახსარი სწავლისა; მაგალითად, მოსკოვში ერთი მოსწავლე გაკვეთილებით თავს ირჩენს, მეორე ღარიბ სტუდენტების დამხმარებელ კასიდგან იღებს ფულს, მესამე—საქველ-მოქმედო საზოგადოებისაგან იღებს სტიპენდიას, მეოთხე ერთად საცხოვრებელ სახლში (общежитіе) შოულობს ბინას და სარჩოს, მეხუთეს ეძლევა ამა თუ იმ კერძო კაცის ნაანდერძევი სტიპენდია, მეექვსეს მთავრობა უნიშნავს სტიპენდიას, მთავრობა ათავისუფლებს გარდასახად ფულისაგან, რომელიც სასწავლებელში უნდა შეიტანოს და სხვ. და სხვ. კარგად თუ ავად, ღარიბად თუ მდიდრულად, დღეს ჩვენი სტუდენტობა სწავლობს, სწავლასაც ამთავრებს და თანდათან, ყოველ წლობით, ჩვენდა სასიხარულოდ, მოსწავლეთა რიცხვი მატულობს ყველა სასწავლებლებში. მე პატარაობიდან ტფილისში ვარ (აქ გავათავე გიმნაზია), კარგა ხანი ვიყავი მოსკოვში (იქ გავათავე უნივერსიტეტი), მაგრამ ის-კი არ მახსოვს, ვისმე გიმნაზია გაეთავებიოს და ხელ-მოკლეობის მიზეზით უმაღლეს სასწავლებელში წასვლა ვერ მოეხერხებიოს, ან რუსეთიდან სიღარიბის გამო უსწავლელი გამოქცეულიყოს. ვსთქვათ, ერთი-ორი შემთხვევა თუ გინდ ყოფილიყოს და სწავლა სიღარიბის მიზეზით ვისმეს ვერ განეგრძოს, ამის მიხედვით ჩვენ 20 ათასი მანეთი ყოველ წლობით არ უნდა დავკარგოთ. დაკარგულად მიტომ უნდა მივიჩნიოთ ეს ფული, რომ, როდესაც ჩვენი სტიპენდიები ექნება ჩვენს შვილებს, მაშინ ზემორე აღნიშნული გარემოება შეიცვლება არა ჩვენდა სასარგებლოდ: არც კერძო კაცნი, არც საქველ-მოქმედო საზოგადოებანი, არც სასწავლებლის მთავრობა და სხვანი არ შეიწუხებენ თავს და ჩვენებს არ მისცემენ სტიპენდიას. რომ ეს ასე მოხდება, ამაზედ დამეთანხმება ის, ვინც იცის, თუ რა გვარად შოულობენ ჩვენი შვილები სტიპენდიებს. თუ მივიღებთ მხედველობაში ამ გარემოებას, უნდა დავასკვნათ, რომ მოგებაში არ ვიქნებით; ამას მეტი განმარტება, ვგონებ, არ უნდა. სჯობია ისევ ის შევიძინოთ ამ 20 ათას მანეთით, რაც არ გვაქვს და არ დავკარგოთ ის, რაც გვაქვს.

ერთს წამსაც არავინ იფიქროს, რომ ჩვენი სტუდენტობა დალხინებაშია, რომ იმას ჩვენი დახმარება არ ეჭირვებოდეს. არა, მე ამას არ ვამბობ. ჩემი სურვილია ამ წერილში მხოლოდ ის გამოვთქვა, თუ ამ ჟამად რა უფრო მეტს ნაყოფს მოგვიტანს: სკოლა თუ სტიპენდია.

კეთილ-გონიერად მოიქცა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა მით, რომ სკოლა არჩია სტიპენდიას. ასე უნდა მოიქცეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობაც, რომლისათვისაც სკოლა უფრო გამოსადეგი იქნება. რაც შეეხება საშუალო სასწავლებლებში მოწაფეთა გამრავლებას, ამ მხრივ საქმეს გვარიანად ჰშველის სათავად-აზნაურო სკოლა, რომელსაც თავად-აზნაურობის მხრივ ეჭირვება მხოლოდ მეტი ხელის-წყობა და ყურადღება.

მელიტონ გაბუნია.

სიტყვა, თქმული დეკ. ევსტათი ელიაშვილის მიერ ავქსენტი ცაგარლის ორმოცის წირვაზედ, ქაშვეთის ტაძარში, 22-ს სეკდემბერს.

ჩვენ დღეს შევიკრიბენით მოსახსენებლად საუკუნოდ დაუვიწყარის განსვენებულის ჩვენის მწერლისა, ავქსენტი ცაგარლისა. ამ განსვენებულის ხსოვნა და მოგონება იქმნება ყოველთვის, რადგანაც ის სცდილობდა დაემყარებინა და დაემტკიცებინა ჩვენ საზოგადოებაში თავისი მწერლობით სამოქალაქო სიქველე, რომელიც განასხვავებს და ამაღლებს კაცს იმ წრეში, სადაც ის ცხოვრობს და მოქმედობს. სამოქალაქო სიქველის მიმდევარი გამსჭვალულია კეთილის აღძვრითა და მიმზიდველობითა და ზრუნავს გაარკვიოს გზა ცხოვრებისა და ნაყოფიერად იმოქმედოს, რომ სხვანიც დაამტკიცოს მოქალაქობის გზაზედ. მიმდევარი სამოქალაქო ქველობისა არ ეძებს დიდებას და პატივს, არ ეძებს შეძლების დიდი სახსარი ცხოვრებისა, რომ შემდგომში მიეცეს უზრუნველობას და განცხრომას. ის შეუდგება დიდ ტვირთს შრომისას, შრომობს და შრომის დროს არ ზოგავს არც გონებას, არც ჯანს, ყველას სასარგებლოდ. იმას აღძრავს და აღაფრთოვანებს ნამდვილი ქრისტიანებრივი ძმათა სიყვარული და სიყვარულით უცქერის სხვას არა პირთვნებითის ანგარიშით; მიმართავს და მეზობლობს სხვასთან არა მეზობლობისა გამო, არამედ ძმათა სიყვარულობისა გამო, რომელსაც გვასწავლის და რომლითაც შეგვაერთებს ჩვენ ერთმანეთთან და შეგვაკავშირებს ჭეშმარიტი სარწმუნოება ქრისტესი; ის იღვწის დაამტკიცოს საზოგადოებაში კეთილ-ზნეობა და კეთილი ქცევა, დაამციროს უკუღმართობა და ყოველი ბოროტის მოქმედება არა გულფიცხელობით და ზვაობით, არამედ გულკეთილობით და ალერსიანობით, მოთმინებით და უდრტვინველობით; არ ანებებს თავს ამ თავის მიზანს მაშინაც, როდესაც იმას სხვანი არ თანაუგრძნობენ, ვერ აფასებენ, ანუ აფთილებენ იმის ბრწყინვალე აზრს და შრომას, ეწინააღმდეგებიან, ზრახვენ, აყვედრიან პირში და პირს უკან მტრულად ექცევიან. ასე მტკიცედ სდგას ის თავის გზაზედ იმისათვის, რომ დარწმუნებულია, რომ იმის ბრწყინვალე აზრს, იმის ქადაგებულს ჭეშმარიტებას ოდესმე მიიღებენ სხვანი, შეითვისებენ და დამტკიცდებიან იმათ სინამდვილეში; როგორც იყო მიღებული და გავრცელებული ღვთისა ჭეშმარიტება და სწავლა წყნარად, არა ერთბაშად და რამდენიმე დროს განმავლობის შემდეგ, ამისთვის, რომ ღმერთი ძალა-უნებურად არავის არ აცხოვნებს. აი ესრეთი იყო განსვენებული ჩვენი დაუვიწყარი ავქსენტი. ამასვე გვასწავლიდა და გვასწავლის ყოველთვის ის თავისის დაუვიწყარისავე ძვირფასის და წარჩინებულ მწერლობის განძით—ხანუმათი, ციმბირელითა და სხვებით. ინებოს ღმერთმან, რომ ჩვენში ყველანი იღვწოდნენ მოქალაქურად და ასწავლიდნენ სხვასაც კეთილ მოქალაქობას. ვილოცოთ განსაკუთრებულად ღვთისა სასუფეველში გარდაცვალებულის დაუვიწყარის ავქსენტისა და იმისგან განბნეული ზნეობის სწავლის თესლი ემატებოდეს და მრავლდებოდეს ათასეულად და ბევრეულად. ამინ.

„ივერიის“ ფოსტა:

მღ. სტ. ბ—შვილს. „სომხეთა პროპაგანდა საქართველოში მე-XI საუკუნეში არ იბეჭდება.

ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკას. ის ნომრები გაზეთისა, რომელსაც თქვენ ითხოვთ, რედაქციაში არ მოიპოვება.

ცხინვალს. სტუდენტს მ. დ. წინამძღვარიშვილს. უნდა უწყოდეთ, რომ არ-დაბეჭდილ წერილების გამო, რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

მ. შ—ი. თქვენი ლექსი პ—ხი არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

25 სეკდემბერი

კამიშლოვი. საგუბერნიო ერობის წინადადებით, სამაზრო ერობის კრებამ დაადგინა: სწავლა-განათლება რომ ჩქარა შეიქმნეს საყოველთაოდ, სასურველია სახალხო განათლების საქმე ერთიანად საგუბერნიო ერობის ხელში იყოსო.

— სახალხო განათლების საჭიროების დასაკმაყოფილებლად სამაზრო ერობის კრებამ გადასდო მომავალ წლისათვის რვა ათას თუმნამდე. უნდათ ხუთი სკოლა დააარსონ. თუ ყოველ წელს ხუთ-ხუთი სკოლა დაარსდა, საყოველთაო სწავლა-განათლება მაზრაში დასრულდება მხოლოდ ოცის წლის განმავლობაში.

ვილნო. გუშინ დილის 10 საათზე დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ იუნკერთა სასწავლებელი დაათვალიერა ვილნოში; ერთი საათი დაჰყო იქ და მერე სუმს წავიდა.

სარატოვი. საგუბერნიო მმართველობამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ 840 ათასი მანეთი მოგვეცეს სესხად შიმშილობის დასაკმაყოფილებლადაო.

პარიზი. პრეზიდენტ ლუბესთან დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძე იყო სადარბაზოდ. პრეზიდენტმა დაუყოვნებლივ სამაგიერო გადაუხადა.

ბელგრადი. უცხოეთში გავრცელებული ხმები, ვითომ მაკედონიაში არეულობა ძლიერდებაო, ყურადღების ღირსი არ არის. დანამდვილებითის ცნობებიდანა სჩანს, რომ მომხდარი არეულობაც მცირე რამ იყო. ოსმალეთის მთავრობის მიერ გამოყვანილი საკმაოდ ბევრი ჯარი უეჭველია ჩქარა მოუღებს ბოლოს არეულობას.

ლონდონი. საფრანგეთისა და სიამის შორის ხელ-შეკრულობის გამო აქაური გაზეთები თავდაჭერითა სწერენ, სანამ ჯერ თვითონ ხელშეკრულობა არ არის გამოცხადებული. ჰფიქრობენ, ინგლისის უფლება არ იქნება დარღვეული ამ ხელ-შეკრულობითაო.

შანჰაი. გარდაცვალებულ ვიცე-კოროლის დიუკუნის ადგილზე ნანკინს ჩან-ჩიტუნი გადაჰყავთ, ვუჩანში-კი ვიცე-კოროლის თანამდებობის ასრულება გუბერნატორს დაევალა.

ბერლინი. გაზ. „ნორდდაიჩე ცაიტუნგ“-ი იუწყება, რომ 5 (18) სექტემბერს იმპერატორმა აცნობა ბურთა გენერლებს, მზადა ვარ მიგიღოთ, თუ გერმანიაში ინგლისის წინააღმდეგ აგიტაციას არ მოახდენთ და თქვენ თავს ინგლისის ელჩი წარმომიდგენსო. თავის ამხანაგების სახელობით დევეტმა ამის თანხმობა გამოაცხადა.

— ჰააგიდან 6 (19) სექტემბერს ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ბურთა გენერლები ამ ჟამად სხვა აზრისანი არიან და ეჭვი შეეპარათ, ღირს თუ არა ჩვენ თვითონ გამოვითხოვოთ იმპერატორთან აუდენციაო; უნდათ მიპატიჟებულნი იყვნენ. ამ გვარად, ეს საქმე დაბოლოვებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან იმპერატორის წინადადება უარყოფილი იქმნა.

პარიზი. ნაციონალისტთა გაზეთების გარდა, ყველანი კარგად იხსენიებენ საფრანგეთისა და სიამის შუა ხელშეკრულობას. „ფიგარო“ განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა დაიმზადა თავის საზღვრების გაფართოების საშუალებანი მომავალში, აგრეთვე სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიური უპირატესობანი, მაგრამ ისე, რომ ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულობაც შეუბღალავად რჩება და სხვა სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით გერმანიისთვის, სიამსაგან მინიჭებული ერთნაირი უფლებანიც არ დამცირდება. აი, ამ ხელ-შეკრულობით საფრანგეთს ჰსურს თავისს უფლებათ პატივისცემა მოუპოვოს და იმავე დროს სიამსთან კეთილი მეგობრული განწყობილებაც შეინახოს.

იალტა. ინჟენერი ტიმოხოვიჩი 24 სეკდემბერს ბედნიერი გახდა პირადად აეხსნა ხელმწიფე იმპერატორისათვის ლივადიის სასახლეში ვენტილიაციის გამართვა. ეს ვენტილიაცია თვითონ ტიმოხოვიჩის მოგონილის სისტემისაა.

ბერლინი. გაზ. „ნორდდაიჩე ცაიტუნგ“-ი ამბობს, რომ ბურებს-კი არ მიუმართავთ იმპერატორ ვილჰელმისათვის სათხოვრით, პირიქით, შეიტყო თუ არა, ბურებს ბერლინს მოსვლა განუზრახავთო, თვითონ იმპერატორმა ბრძანა, შეატყობინეთ. რა პირობით შემიძლია ისინი მივიღოო. რა მიზეზით შესცვალეს ბურებმა თავიანთი წადილი—არ იციან.

26 სეკდემბერი

ფრანკფურტი-მაინისა. სახალხთა-შორისო კონგრესი გაიმართა ქალებით ვაჭრობის საწინააღმდეგოდ. რუსეთის წარმომადგენელი საბუროვია.

ნიუ-იორკი. ქვა-ნახშირის სამუშაო ადგილებში 10 ათასი ჯარის კაცი მეტი დააყენეს. პენსილვანიის გუბერნატორი იტყობინება, რომ ბევრ ადგილას იმ მუშებზე, რომელნიც თანახმანი არიან იმუშაონ, ძალას ხმარობენ ამხანაგები. რუზველტის საშუამავლოდ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

ბელგრადი. არზა ალავანტიჩი მობრუნდა აქ და პასუხის გებაში მისცეს, იმიტომ რომ იმისმა ძმამ რადამ შაბაცში აჯანყება განიზრახა.

პარიჟი. ქვა-ნახშირის მუშათა კომიტეტმა თავი შეიყარა მუშათა ბირჟაზე და დაადგინა, საყოველთაო გაფიცვა გაიმართოსო და ხვალ დილიდგან მუშაობაზე ხელი ავიღოთო.

— „პრავ. ვესტნ.“-ში გამოცხადებულია, რომ 19-დან 23 სექტემბრამდე ოდესაში ახლად გამხდარა შავის ჭირით ავად სამი კაცი; 28 მაისიდგან სულ გამხდარა 41 კაცი. გარდაცვლილა 13. ოდესის „გრადონაჩალნიკის“ განკარგულებით ერთსა და იმავე დროს კარდა-კარ დაივლიან და ვირთაგვებს წამლით დახოცავენ.

აქაური გაზეთები იტყობინებიან, რომ ბურთა გენერლებმა ბოტამ, დელარეიმა და დევეტმა გადასწყვიტეს ამ მოკლე დროში რუსეთი ინახულონ და მადლობა გამოუცხადონ რუსის ხალხს თანაგრძნობისა და შემწეობისათვის. გენერლები მოივლიან პეტერბურგს, მოსკოვს, კიევსა და ადესას და ყველა ამ ქალაქებში ლექციებს წაიკითხავენ ომისაგან დაზარალებულ ბურთა მდგომარეობის შესახებ. ამასთანავე შეწირულებასაც მიიღებენ.

კოპენჰაგენი. გარეშე საქმეთა მინისტრმა 25 სეკდემბერს რიკსდაგს კანონ-პროექტი წარუდგინა შესახებ იმისა, რომ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს დანიის საკუთრება ვესტინდიის კუნძულები დაეთმოს და მოსთხოვა ამ საქმის საჩქაროდ დაბოლოვება.

26 სეკდემბერი

პეკინი. თანახმად კონვენციისა დაიწყეს მდინარის სამხრეთის მხარე მანჯურიისა დაუბრუნდა ჩინეთს.

ტომსკი. დღეს აკურთხეს პირველი ციმბირში სასტატო ინსტიტუტი. სამღვდელოდ მოსალოცი დეპეშები მიღებულ იქმნა ევროპისა და ციმბირის დაწესებულებათაგან.

სარატოვი. გარდა 840,000 მ. საზრდოთი უზრუნველ საყოფელ სესხისა საგუბერნიო მმართველობა ითხოვს 635,000 მ. მიეცეს სანეულო თესლის შესაძენად და 325,000 საზოგადო მუშაობათათვის.

სუმი. მობრძანდა დიდი მთავარი კონსტანტინე, რომელსაც დაუხვდა საკრებულო ტაძარში ყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე, არხიეპისკოპოსი ხარკოვისა და ახტირისა.

პარიჟი. ხმა ისმის, რომ მინისტრ-პრეზიდენტმა 12-ის დეპარტამენტის პრეფექტებს დაუგზავნა დეპეშები, იმ დეპარტამენტებისას, სადაც გაფიცვაა ქვა-ნახშირის მადნების მუშებისა, რათა სამხედრო ღონისძიებანი მიიღონ.

ვენა. “Neue-Fres-Presse“ იუწყება, მთავრობა მოწადინებულია შეიტანოს რეიხსრატში კანონ-პროექტი ჯარის მომატების შესახებ, რომ შესდგეს ლაშქარი ახალის ბატარიებისათვის.

სოფია. ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა რილსკის მონასტრიდგან მიღებული ცნობა, რომ პოდპოლკოვნიკი ნიკოლოვი ჰქადაგებს აჯანყებას მთელის მაკედონია-ბოლგარიის მომიჯნავე მხარეს და რომ ჯუმაის ახლოს იყო გაფიცვაო. სხვა წყაროებით ეს ცნობა არა მტკიცდება.

ლონდონი. გაზეთები კმაყოფილებას აცხადებენ ბურების გენერლების სადარბაზოდ მიღების საქმის გადაწყვეტის გამო.

ლონდონი. ოქსფორდის უნივერსიტეტმა პროფესორს მარტენს მიუსაჯა სამოქალაქო სამართლის დოკტორობის ხარისხი.

27 სეკდემბერი.

კამიშლოვი. სამაზრო საერობო კრებამ გარდასწყვიტა: ვაფასებთ-რა სკოლების ინსპექტორის სინიცინის მოღვაწეობას, გამოვუცხადოთ მადლობა და მივართვათ ადრესიო.

სოფია. გრაფი იგნატიევი გაემართა რუსეთს რუშჩუკის გზით, სადგურამდე გააცილეს მთავრის წარმომადგენლებმა, ქალაქის მოურავმა, საბჭომ, მოსწავლეთა და მრავალმა ხალხმა.

ლონდონი. შუადღისას გათავდა ხელის-მოწერა იაპონიის სასესხებლად ფულის გამღებისა, 50.000,000. იენის.

ვლადივოსტოკი. 26 ენკენისთვეს აქ მოვიდა მოსკოვიდგან რკინის გზის მატარებლით წამოსული ფინანსთა მინისტრი. მინისტრმა გზაში დაჰყო 15 დღე-და-ღამე. გზა-გზა მინისტრი ჩერდებოდა და ათვალიერებდა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის-გზის ნაწილებს. გზების აწინდელ მდგომარეობაში მგზავრთა მატარებელს შეუძლია ეს მანძილი განვლოს $12^1/_2$ დღე და ღამეში, შემდეგ-კი, როცა ბაიკალის გარს მოსავლელი და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზების გაყვანა დასრულდება, ესევე მანძილი შეიძლება განვლოს კაცმა 10 დღესა და ღამეში.

პოლტავა. კრემენჩუგის საერობო კრებამ ერთხმად გადასწყვიტა გადადებულ იქმნას 24,000 მანეთი სახელოსნოების დასაარსებლად მაზრაში და შემდეგ-კი მათ შესანახავად ყოველ წლიურად 8,000 მანეთის ხარჯის გაწევა.

პეტერბურგის ბირჟა, 24 სეკდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	46,00
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	
პარიჟში ,,	37,60
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$97^1/_8$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$99^1/_2$ გაყ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$94^3/_4$
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$467^1/_2$ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$355^1/_2$ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$290^3/_4$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	$87^1/_2$ გაყ.
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	$82^3/_8$ წვ. გაყ.
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$89^1/_2$ გაყ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	85 წვ. გაყ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	$89^1/_2$ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	351 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	185 გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სასამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 28 სეკდემბრისათვის დანიშნულია შემდეგ სამოქალაქო ჩაქმეთა განხილვა:

1. ალექსანდრე ვოიცეხოვსკის საჩივარი და იაგორ ნემსაძის დავა.
2. ვანო, სოფრო და კიკო ფოხვალო და თოდუათა დავა წისქვილზედ.
3. ვასილ ქორქაშვილისა და აბრამ ფიჩხაძეს დავა 275 მან.
4. იაკობ მალიაფერიძის და დავ. იოსებ, გაბრიელ, მიხეილ, ალექსანდრე და სხ. მესხთა და თომა მალიაფერიძისა და ტრიფონ თუთბერიძისა 50 მ. გამო.
5. დიმიტრი რექვავასი და ეკატერინე საქვავას დავა.
6. პავლე მიროტაძისა და ელიზბარ ნებიერიძის დავა ფულზედ.

განცხადება

ქირავდება

იაფად 4 ოთახი ყოველგვარ მოწყობილობით თითქმის შუაგულ ქალაქში, ეგზარხოსის მოედანზედ, სახლი თავ. შერვაშიძისა, № 14.

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

ისყიდება

კაკლის გასაწევი, სასადილო ორი **სტოლი**, საუკეთესო ხმელის მასალიდან მკვიდრათ გაკეთებული. **ფასები დაკლებულია.**

ადრესი: ლაბორატორიის ვიწრო ქუჩა, სამხატვრო სასწავლებლის გვერდზედ, იკითხეთ სადურგლო ქარხანა. (1—427—1)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Сентября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.